ჯულია ბენიძე

მასალები სამთავისის საკათედრო ტაძრისა და მისი სიძველეების შესახებ დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირად არქივში

მასალები სამთავისის საკათედრო ტაძრის შესახებ მოგზაურ-მომ-ლოცველთა, სიძველეების მოყვარულთა და მეცნიერთა ჩანაწერებში 1840-იანი წლებიდან ჩნდება. მარი ბროსეს,[1] ანდრეი მურავიოვის,[2] დიმიტრი ბაქრაძის,[3] ნიკოდიმ კონდაკოვის და ივან ტოლსტოის,[4] თედო ჟორდანიას,[5] ალექსანდრე ხახანაშვილის[6] ნაშრომებში აღნუსხული და, ზოგ შემთხვევაში, განხილულიცაა კათედრალის ისტორიის სხვადასხვა მხარეები - მისი დაარსების ისტორია; დამფუძნებლის, ასურელ მამა-თაგან ერთ-ერთის, წმ. ისიდორე სამთავნელის მოღვაწეობა და მისი და-საკრძალავი, ეკლესიის ხუროთმოძღვრული სახე და მისი წარწერები, კედლის მხატვრობა, საკათედრო ტაძარში დაცული მაცხოვრის ხატი და მის მოჭედილობაზე არსებული საქტიტორო წარწერა, ტაძრის სიძველეები, მათ შორის - ხელნაწერი წიგნები. პუბლიკაციების ნაწილში მოიპოვება მი-თითებები ეკლესიაში ადგილობრივი წარჩინებული გვარის, ეკლესიის განმაახლებლების - ამილახვართა საფლავების არსებობაზე.

სამთავისის საკათედრო ტაძართან დაკავშირებული მასალები აერ-თიანებს ნახაზებსა და ჩანახატებსაც: 1840-იან წლებში გრიგორი გაგარინს,[7] ხოლო 1850-იან წლებში დავიდ გრიმს[8] ჩაუხატავთ როგორც კათედრალის

1 Brosset M., Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie: exécuté en 1847-1848 sous les auspices du prince Vorontzof, leutenant du Caucase, St. Pètersbourg, Impimerie de l'académie impériale des sciences, 1851, sixieme Rapport, p. 2-6, 121-125.

2 Муравьев А. Н., Грузия и Армения, часть III, Спб., в тип. III отдел. Собств. Е.И.В. канцелярии, 1848, стр. 85-89.

3 Записки Общества любителей кавказской археологии, изданая под редакциею помощника председателя общества Ад. Берже и члена комитета общества Дм. Бакрадзе, Типография Главного управления наместника кавказского, Кн. 1, Тифлис, 1875, стр. 129.

4 Русские древности в памятниках искусства, издаваемые графом И. Толстым и Н.Кондаковым., Вып. 4: Христианские древности Крыма, Кавказа и Киева, Спб.,1891, стр. 69-70.

5 ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტ. I (შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ), სტამბა მ. შარაძისა, თბილისი, 1892, გვ. 171-172, 201-202, 259.

6 Хаханов А. С., Ксанское ущелье, Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества, Вып. 7, 1898, стр. 43 – 46.

7 Gagarin, G., Le Caucase pittoresque: [иллюстрации] /Dessine d'apres nature Gregoire Gagarine; Avec une introd. et texte explicatif Ernest Stackelberg, Paris, 1847 illustration LXIII.

8 Гримм Д. И., Памятники византийской архитектуры в Грузии и Армении. Вып. 1, Санкт-Петербург, Imprimerie de ЪAcademie imperiale des sciences, 1859, Вып. 6,7,11,12. стр. 3-4.

არქიტექტურული დეტალები, ასევე ლაპიდარული წარწერები. იმავე პერიოდში, ტაძრის აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორმა, ფრანსუა ქსავიე რიპარდმა შესრულა ანაზომები და ჩანახაზები (ფონდი 205:1). XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, საკათედრო ტაძრის კომპლექსი ფოტოზე აღბეჭდეს დიმიტრი ერმაკოვმა და ალექსანდრე როინაშვილმა.

საკათედრო ტაძარი რამდენჯერმე ინახულა და აღწერა პოლიევქტოს კარბელაშვილმაც (1855-1936). მისი მრავალმხრივ საგულისხმო ჩანაწერები, რომელიც საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში, მის პირად ფონდში (სეა, ფონდი 1461) არის დაცული, დღემდე გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი რჩებოდა.

სამთავისის ტაძრით და მისი სიძველეებით პოლიევქტოს კარბელაშვილის დაინტერესება რამდენიმე წანამძღვრით უნდა ყოფილიყო განპირობებული: სწავლული სასულირო პირის პირად საარქივო ფონდში დაცული ერთი დოკუმენტის მიხედვით (სეა, ფონდი 1461, საქმე 479) ცნობილი ხდება, რომ მამამისი, მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი 1849 წელს, ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი) ბრძანებით, ქსნის ხეობიდან სოფელ ქვემოჭალაში გადმოუყვანით და ამილახვართა კარის ეკლესიიის მოძღვრად დაუდგენიათ. იქედან მოყოლებული, კარბელაშვილთა ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამილახვრების წარჩინებულ გვართან და მათი ქტიტორობით აგებულ თუ განახლებულ ეკლესია-მონასტრებთან. გრიგოლ კარბელაშვილი გარდაცვალებამდე მსახურებდა ქვემოჭალის ეკლესიაში; იგი მამასთან, პეტრესთან ერთად ქვემოჭალის წმ. გრიგოლის ეკლესიაში დაუკრძალავთ. ამილახვართა კარის ეკლესიაში მედავითნედ დაუწყია მსახურება დეკანოზ ანდრია კარბელაშვილს; მოგვიანებით, იგი იმავე ეკლესიის წინამძღვრად დანიშნულა და მსახურებაც იქვე დაუსრულებია (1903-1924 წწ.). სამთავისის ტაძარში იწყებს და ასრულებს მსახურებას ფილიმონ კარბელაშვილიც (1869-1879 წწ.). ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაკვირი არცაა, რომ ქართული სიძველეებით დაინტერესებული პოლიევქტოს კარბელაშვილის საკვლევ საკითხთა შორის, ამილახვართა საგვარეულოსთვის განსასვენებლად განწესებული სამთავისის საკათედრო ტაძარიც აღმოჩენილიყო. სწავლული სასულიერო პირის არაერთი საგაზეთო წერილი, იმჟამინდელი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე, სწორედ ამილახვართა საგვარეულოსთანაა დაკავშირებული (დროება, 1875, №79, გვ. 1-2; ივერია, 1891, №237, გვ. 1-2; №238, გვ. 2-3; 1893, №77, გვ. 1-3; 1899, №18, გვ. 4, №86, გვ. 1-2).

პირველად, 1875 წელს, პოლიევქტოს კარბელაშვილი გაზეთ „დროება“-ში აქვეყნებს წერილს, სადაც საუბრობს მდ. ლეხურის ხეობის სოფლებში მცხოვრებთაგან მოსმენილ გადმოცემაზე გვარის - ამილახვართა წარმომავლობისა და მათ მიერ სათავადოს დაარსების შესახებ შიდა ქართლში. წერილში დაცულია ხალხში გავრცელებული ლექსი ამ საგვარეულოს შესახებ („ამილახვრიანთ ყმობითა, ფქვილი ვერ ჩავსდგი გოდრითა! ვერც დეკეული გავზარდე, ვერც კალო ვლეწე მოზვრითა!“, *დროება*, 1875, №79, გვ. 1-2).

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებასთან ერთად, პოლიევქტოს კარბელაშვილი ამილახვარებთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტებისა და სიძველეების შესწავლა-თავმოყრას იწყებს. საკმაოდ ვრცელია რიგი (200 საბუთზე მეტი) პირად ფონდში დაცული, მისი ხელით გადაწერილი, ამილახვარებთან დაკავშირებული სიგელ-გუჯრებისა, რომლებიც შინაარსის მიხედვით აერთიანებს წერილებს, ოქმებს, არზებს, ბრძანებებს, წყალობის, ნასყიდობისა და პირობის წიგნებს, რომლებიც ამილახვართა მიერ არის გაცემული და მიღებული. აღნიშნული მასალების ნახვა, მათ კარზე გაზრდილი პოლიევქტოს კარბელაშვილისთვის, იოლად იყო ხელმისაწვდომი.

თუმცა, გამორჩეული დამოკიდებულება ამილახვრებთან მხოლოდ ამ ფაქტით არ იყო განპირობებული. საგვარეულოს წარმომადგენელთა მიერ განხორიელებული საქმეების განსაკუთრებულობას ნათლად ადასტურებს პოლიევქტოს კარბელაშვილის სიტყვები: „ვერც ერთი საგვარეულო, ბაგრატოვანთა გარდა, ვერ დაუმშვენებს მხარს ისტორიულ ამილახვრების გვარსა, რომლის წარმომადგენელნი მთელის ორის საუკუნის განმავლობაში თითქმის საქართველოს სამეფოს პოლიტიკურს ცხოვრებას ჰმეთაურობდნენ...“ (კარბელაშვილი, 1891:1).

სწორედ ამ მნიშვნელოვანი საქმეების წარმომჩენია პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ შეგროვებული, ამილახვარების საგვარეულოსთან დაკავშირებული, ისტორიული მასალები (მათ შორის ეკლესისია-მონასტრებისა და იქ დაცული სიძველეების აღწერები), რომელიც თავმოყრილია შემდეგ საარქივო დოკუმენტებში:

საქმე №21 - ისტორიული მასალა ამილახვრების საგვარეულოსი, 1878, ხელნაწერი, 125 ფ.;

საქმე №22 - ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, ხელნაწერი, 1890, 32 ფ.;

საქმე №23 - ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, ნაბეჭდი, 1891, 24 ფ.;

საქმე №48 - უბის წიგნაკები. სხვადასხვა ხასიათის ისტორიული ჩანაწერები, ავტოგრაფი (ექვსი უბის წიგნაკი);

საქმე №56 - ამილახვართა ისტორიის მასალად, ავტოგრაფი, 1892, 7 ფ.;

საქმე №66 - ამილახორის გათავადება, ავტოგრაფი, უთარიღო, 6 ფ.;

საქმე №128 - ზედ-წარწერები სხვადასხვა ეკლესიებში, ხელნაწერი, 54 ფ.;

საქმე №144 - წარწერები კახთუბნისა და სამთავისის ეკლესიებისა, 1879-1920, 23 ფ.

ფონდში დაცული ამ მასალების ნაწილი, როგორც აღინიშნა, მოიცავს სიძველეთა აღწერებს. მათი მცირე ნაწილი პოლიევქტოს კარბელაშვილს გამოუქვეყნებია გაზეთ „ივერია“-ში სათაურით - *„მასალად ამილახვართა ისტორიისა, ა) წარწერანი ხატებზედა და კედლებზედ - ს. ჭალასა, შიო-მღვიმესა და ქ. ტფილისში შეკრებილნი“.* წერილში პოლიევქტოს კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ აქვეყნებდა იმჟამად მის ხელთ არსებულ მასალებს, რაც მოიცავდა ლაპიდარულ ეპიგრაფიკას და სიძველეებზე არსებულ წარწერებს - ისინი მას შეუკრებია ამილახვართა საგვარეულოსთან დაკავშირებული

ტაძრებიდან თბილისში, სოფელ ქვემოჭალაში, შიო-მღვიმის მონასტერში და სამთავისის საკათედრო ტაძარში. გამოქვეყნებული წარწერების უმეტესობა თარიღიანია და მოიცავს XVII-XVIII საუკუნეებს. (კარბელაშვილი, 1891:1-2).

პოლიევქტოს კარბელაშვილს სოფელ ქვემოჭალაში დაუთვალიერებია ორი ეკლესია: ჯვარ-პატიოსნის (განახლებული ამირინდო ავთანდილის ძე ამილახვარის მიერ) და ღმრთისმშობლის (აგებული მეფე ვახტანგ V-ის ასულის, გივი (I) ამილახვრის მეუღლის, თამარის მიერ). მას აღუნუსხვას იქ დაცული ჯვარ-ხატები და ხელნაწერები, სახელდობრ: ამირინდო ამილახვრის სააღმშენებლო წარწერა ქვემოჭალის ჯვარპატიოსნის ეკლესიის გალავნის კარიბჭეზე (1760 წ.); ამირინდო ავთანდილის ძე ამილახვრის და ელენე საზვერლის ასული ჩოლოყაშვილის მოსახსენებელი წარწერა ჯვარპატიოსნის ეკლესიის შესასვლელი კარების ასწვრივ ჩასმულ ქვაზე (1754 წ.); ზედგინიძე ამირინდოს (გორის მოურავი) და გულქანის მოსახსენებელი ასომთავრული წარწერა ჯვარპატიოსანის ეკლესიაზე; გივი ამილახვრის და თამარ ბატონიშვილის მოსახსენებელი წარწერა ჯვარპატიოსანის ეკლესიის ღმრთისმშობლის (ნაწილებიან) ხატზე (1682 წ.); იმავე პირთა მოსახსენებელი წარწერა შიო-მღვიმის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის დასავლეთის კარების თავზე (1678 წ.); ფარემუზ ანდუყაფარის ძე ამილახვრის მოსახსენებელი წარწერა ჯვარპატიოსნის ეკლესიის ღმრთისმშობლის ხატზე; პაპუნა ამილახვრის მეუღლის დედოფალ თამარის მოსახსენებელი წარწერა ჯვარპატიოსნის ეკლესიის ღმრთისმშობლის ხატზე (1635 წ.); გივი ამილახვრის და პაპუა ქარუმიძის მოსახსენებელი წარწერა ქვემოჭალის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე. პოლიევქტოს კარბელაშვილი იქვე აქვე აღწერს იმავე ეკლესიის სამხრეთ ფასადზე არსებულ რელიეფურ გამოსახულებას და დასავლეთის მხრიდან მიდგმულ ოთხკუთხა კოშკს; მოტანილია დემეტრე იოთამის ძე ამილახვრის და ქსნის ერისთავის ასული თამარის მოსახსენებელი წარწერა სამთავისის ტაძრის ღვთაების ხატზე (1670 წ.); გივი ამილახვრის მოსახსენებელი წარწერა შიომღვიმის მონასტრის მიძინების ტაძრის სამხრეთი კარებს ზემოთ (1733 წ.); გივი (II) ამილახვარისა და ორბელისშვილის ასული ბანგუას მოსახსენებელი წარწერა იმავე ეკლესიის დასავლეთ ფასადზე; იმავე პირთა მოსახსენებელი წარწერა თბილისის ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის კარების თავზე ჩასმულ მარმარილოს ქვაზე (1754 წ.); გივი ამილახვრის მოსახსენებელი მინაწერი იკორთის ეკლესიის ხელნაწერ ძლისპირზე; გიორგი გივის ძე ამილახვრის მოსახსენებელი წარწერა ჯვარპატიოსნის ეკლესიის ვერცხლის ჯვარზე (1752 წ.); სალომე რევაზის ასული ამილახვრის მოსახსენებელი წარწერა ჯვარპატიოსნის ეკლესიის ვერცხლის სასანთლეზე (1787 წ.). (კარბელაშვილი, 1891:1-2).

იმავე წერილში გამოქვეყნებული სამთავისის საკათედრო ტაძარში დაცული მაცხოვრის ხატის (1670 წ.). წარწერასთან ერთად, მკვლევრის ყურადღება მიუქცევია თავად ხატის ფერწერასაც, რომლის თაობაზეც იგი აღნიშნავს: „აღნიშნული ხატი, როგორც ჭალის ხატები, მშვენიერი ქართული მხატვრობაა, სიმაღლით ერთი ადლი და სიგანით ერთი არშინი, არა უგვიანეს XI საუკუნისა. ჩემის ფიქრით, ხატი ეკუთვნის ილარიონ სამთავნელის

დროს (1030-1060 წ.), რომელმაც განაახლა თვით ტაძარიც. ხატს სხივზედ ჰკიდია ძეწკვით ყელსაკიდი ყოვლად წმინდის პატარა მინანქრის ხატი, ქართული ხელოვნებისავე, ძვირფასი ნაშთი ჩვენის წარსულის ისტორიულ ცხოვრებისა“. (კარბელაშვილი, 1891:2).

ამილახვართა საგვარეულოს შესახებ მასალების შეკრებას პოლიევქტოს კარბელაშვილი მომდევნო წლებშიც აგრძელებდა, რასაც მის მიერ გამოქვეყნებული საგაზეთო წერილები მოწმობს (ამილახვართა ისტორიის მასალად. წერილი II, ივერია, 1893, №77, გვ.1-3; მეფე ერეკლე და დემეტრე ამილახვარი, მოამბე, 1896, №1 (VI), გვ. 1-20; გივი ამილახვარი და სიონის ტაძარი, ივერია, 1899, №86, გვ. 1-2).

პოლიევქტოს კარბელაშვილის ერთ-ერთი ბოლო საგაზეთო წერილით ირკვევა, რომ მას განზრახული ჰქონდა ამილახვართა საგვარეულოსთან დაკავშირებული, წლების მანძილზე შეკრებილი, მასალების ერთად თავმოყრა და წიგნის სახით გამოქვეყნება. ამასთან დაკაშირებით იგი გაზეთ „ივერია“-ს ფურცლებიდან სთხოვდა საზოგადოებას ამ საგვარეულოსთან დაკავშირებული მასალების მისთვის მიწოდებას. წერილი, პირველყოვლისა, მიმართული იყო ამილახვართა გვარის წარმომადგენლებისადმი: „ჩვენ განვიზრახეთ ცალკე წიგნად დავბეჭდოთ და გამოვაქვეყნოთ ამილახვართა საგვარეულო ისტორიულნი ცნობანი, რაც-კი ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერად მოიპოვება ამ ჟამად. ამიტომ უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ამილახვრებს და სხვებს, ვისაც-კი რაიმე ხელთ-ნაწერი ცნობა აქვს - გვათხოვონ დროებით მოსათავსებლად ჩვენ მიერ დასაბეჭდს წიგნში, რომ დაუბეჭდავი არ დარჩეს. ამისთანა გამოგზავნილი მასალა უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს მადლობით და თითო წიგნით...“. (კარბელაშვილი, 1899:4).

როგორც აღინიშნა, სამთავისის საკათედრო ტაძარი პოლიევქტოს კარბელაშვილს არაერთხელ უნდა ენახა - ეს, უპირველესად, იმითაც იყო განპირობებული, რომ ტაძარი სოფელ ქვემოჭალასთან სიახლოვეს მდებარეობდა. ამასთანავე, მისი უფროსი ძმა - ფილიმონი იქ მსახურებდა. შესაბამისად, სამთავისის საკათედრო ტაძარი და მისი სიძველეები საყურადღებო იყო სწორედ ამიალხვართა საგვარეულოსთან დაკავშირებული მასალების შეკრებისთვის.

ზემოთ დასახელებული წერილი „ივერია“-ში 1891 წელსაა გამოქვეყნებული, ცხადია, მასში აღწერილი მაცხოვრის ხატი პოლიევქტოს კარბელაშვილს მანამდე უკვე ნანახი ჰქონდა. უბის წიგნაკებში, სადაც სწავლული სასულიერო პირი აღწერს სამთავისის ტაძარში დაცულ სიძველეებს, თარიღს იშვიათად უთითებს. მხოლოდ ერთგან, სადაც იგი აღნუსხავს ხელნაწერებს (ეტრატზე ნაწერ სვინაქსარსა და სახარების თარგმანებას) აღნიშნავს თარიღსაც - 1900 წლის 23 ივლისი. გარდა ამისა, სამთავისის ტაძრის ინტერიერში არსებული საფლავების ეპიტაფიებშ შორის მის მიერ აღნუსხული, ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანი ეპიტაფია დათარიღებულია 1910 წლის 23 მაისით. ამის გათვალისწინებით ნათელია, რომ პოლიევქტოს კარბელაშვილი სამთავისს კიდევ ერთხელ 1910 წლის შემდეგაც სწვევია.

პოლიევქტოს კარბელაშვილი, სამთავისის საკათედრო ტაძრის ნახვისას, აღწერს და აღნუსხავს როგორც ლაპიდარულ წარწერებს, ისე იქ დაცულ სიძველეებს და გადმოაქვს მათზე არსებული წარწერები. მისი აღწერა ავსებს ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერ-მოგზაურთა მონაცემებს კათედრალისა და მისი სიძველეების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კათედრალის სიძველეების აღწერა პოლიევქტოს კარბელაშვილთან სრულია, ამასთანავე ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინტერიერში დაცულ განსასვენებლებზე და პირველს გადმოაქვს მათზე დაცული ეპიტაფიები. დროთა განმავლობაში დაზიანებული განსასვენებლების და წარხოცილი წარწერების გათვალისწინებით, პოლიევქტოს კარბელაშვილის ჩანაწერების მნიშვნელობა სავსებით ნათელია.

ქვემოთ მოტანილია მასალები სამთავისის საკათედრო ტაძრისა და მისი სიძველეების შესახებ, რომელიც პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივის სამ საქმეშია (№№ 48, 128, 144) დაცული.

ისტორიულნი წარწერანი
საამილახვროს საგვარეულოს ეკკლესიებისა და სხ.
ლაპიდარული წარწერები

სამთავისის ტაძარზედ აღმოსავლეთით, ჯვარის მხრებში, ხუცური ასომთავრულით:

ქ. ხატო ღ“თაებისაო შეიწყალე სული ილარიონისა, ძისა ვაჩე ყანჩაელისა.[1]

მაღლა, თაღის ქვეშ:

ქ. ღმერთო მის შორის და იგი არა შეიძრას უკუნისამდე.

იქვე, ქვის გამოქანდაკებულ ჯვარის კვარცხლბეკზედ (1030 წ.):

(ილ)არიონ სამთა(ვნელმან) ტაძარი ესე (აღვა)შენე წელთა ხქლდ. ქორონიკონს სნ.

იქვე, დასავლეთის (ეხლა), წინათ კი ციხის კედლის ქვაზედ (1050 წ.):

ქ. ხატო ღთაებისაო ადიდე სული ილარიონ სამთავნელი ყანჩაელის ძე, რომელმან აღაშენა მარანი და საწნახელი საყდარი ესე, ქკს სო.

დასავლეთის კედელში ჩატანებულ ქვაზედ (1168 წ.):

ქ. ხატო ღთაებისაო ადიდე შენ მიერ დამყარებული და უძლეველი ღ“თივ გვირგვინოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ-მეფე გიორგი, მე იოანე სამთავნელმან[2] **აღვაშენე კარისბჭე ესე სალოცველად მეფობისა მათისა, ინდიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ, ქორონიკონი იყო ტპ̑ბ.**

სამთავისის ტაძრის ფანჯრის მაღლა, გარდი-გარდმო ქვაზედ წარწერა, ხუცური ასო მთავრულით (1508 წ.):

ქ. **ᲨᲐ დიდისა ამილახორისა თანამეცხედრესა მეფეთ-მეფისა ასულს, მეორედ აღმშენებელსა გაიანეს**[3] **შეუნდვნეს ღ“თნ.**

იქვე, მეორე ქვაზედ:

ქ. ხატო ღთაებისაო, მეოხ ექმენ მეორედ აღმშენებელსა შენსა სვიმონს,[4] **ამინ უფალო ღ“ო.**

სიწმინდეები

სამთავისის ღვთაების ხატზედ (ამ ხატის სიმაღლე 87 სანტიმეტრი, სიგანე 62) მხედრულათ აწერია (1670 წ.):

ქ. ეჰა, ერთარსებაო, ერთუფლებაო მამაო უშობელო და ძეო მხოლოდ შობილო და სულო წმიდაო, ორთავე შორის განსვენებულო, საყდარო და საყოფელო ერთღვთაებისაო, სამთავის მონასტერო, შეგავედრებთ თავსა ჩვენსა და დავდებ სასოებასა; ჩვენ, ამილახორის იოთამის შვილი ყორჩიბაში დემეტრე[5] და თანამეცხედრე ჩვენი ქსნის ერისთავის ასული თამარი. ოდეს ვიხილეთ ტაძარი თქვენი, ჟამთა ვითარებისაგან უფროსი ხატი მოშლილ იყო და ტაძარსა თქვენსა აღარ ესვენა. აღგვძრა სურვილმა და ძლიერებამა თქვენმა და მოვაჭედინეთ და შევამკევით ხატი ესე მაცხოვრისა, სულთა განმანათლებელი და ხორცთა მკურნალი, და დავასვენეთ ტაძარსა და საყოფელსა თქვენსა, სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, რათა მფარველ გვექმნას მადლი და ფარვა თქვენი, გვიოხოს შეცოდებანი ჩვენნი დღესა მას დიდსა განკითხვისასა ამინ, ქკს ტნწ

სვინაქსარი ტყავზედ:

ს“ხლითა ღ“ისათა მამისა ძისაჲთა და სულისა წ“ისათა მეოხებითა ყ“დ წმ. დედოფლისა ჩვენისა ღ“ის მშობელისა მდ“ს ქ“წლისა მარიამისითა და შეწევნითა წ“ისა გ“ი ლომისისაჲ და წმ. ი“ე ნათლისმცემლისაჲთა სრულ იქმნა წ“ჲ ესე სჯნაქსარი, განმანათლებელი ეკკლესიათა და წინამძღვარი და მოძღვარი ყ“ისა სოფლისა. ბრძანებითა ჭარმაულისა ასულისა სჯულკარგისა [...] და წიგნთ მოყვარულისა პატრონისა სევდაოზისითა, ხელითა თაბურ ყოფილისა სევდაოსშვილის მღვდლის ფილიპესითა.. დბაჲ ღ“ჲ სრულ მყოფელსა ყოველთა კეთილთასა და მომნიჭებელსა სარწმუნოებით მავედრებელთა ვედრებისა მათისასა, ღირს მყო წყალობამან ღირსმან და მადლმან სულსა წ“ისამან უნდოჲ და არა ღირსი ესე სევდაოზისა სამლოცველოდ და ცოდვილისა სულისა ჩ“ნისა საშენდობლოდ და ბატონისა ვარამის საგამარჯუწბოდ.

სამთავისში დაცულია ხუცური ასომთავრულით ტყავზედ დაწერილი სახარების თარგმანება, შიგა და შიგ ტექსტის ხელით შემდეგი მინაწერებია:

ქ“ე შ“ე ფოკას ეპისკოპოსი
ქ“ე შ“ე ეფთჳმე და არკატი ამის წიგნისა მოღვაწენი
ესე სახარებისა თარგმანი დაიწერა ფოკასის საფასოითა, ქ“ე შ“ე
ქ“ე შ“ე ფოკას
ქ“ე შ“ე ეფთჳმე (ორჯელ)
ქ“ე შ“ე ზაქარია
ქ“ე შ“ე არკატი

სამთავისის ტრაპეზის ხელნაწერ სახარების ზურგზედ, მხედრულათ (1753 წ.):

ქ. მე სამთავნელ მიტროპოლიტმან ბენეკტიკტემ6 შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი თქვენ სამთავისის ღვთაების მონასტერსა. შეიწირენ და შემიწყალე, ვინც გამოგწიროს შენ შერისხდი, ქრისტეს აქეთ ჩღნგ, ქკს უმა

სამთავისის სადღესასწაულოს (1805 წ.) აწერია არშიებზედ:

ქ. ჩვენ ყ“დ სამღუდელომ წილკნელ მიტროპოლიტმან და სამთავნელმან გერვასი,[7] მაჭავარიანის ბერის შვილმან, აღზრდილმან საქართველოს მეფის იესეს[8] ძის კურთხეულის ანტონი[9] საქართველოს მნათობისა და კათოლიკოს პატრიარხის უწმიდესის სინოდის ჩლენისამან ეს სადღესასწაულო სამთავისის საეპისკოპოსოს ამაღლების ეკლესიას ჩემის ნაღუაწის საწირავის თეთრით ვიყიდე და შევსწირე. ამას გარდა-ერთი წმიდა სახარება, კონდაკი, მარხვანი, ზადიკი ჩემის სულის მოსახსენებელად. ამათ გარდა წმიდას ტრაპეზზედ დასასვენებელი ჯვარი მურასა, რვა თუმანი მივეც, ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი თავისის გაწყობილებითა, ორი ფილონი თავისის სახმარებითა გაწყობილი, ვერცხლის კანდელნი ხუთი შვენიერად ნაქმარნი, გარდამოხსნა შვენიერი, მეორე ჯვარი ხისა დახატული, ხომლი თითბრისა შემოვაწირვინე დავითსა, დიდი საიაზმე ჯამი თავისის თავსახურავითა და უსუპითა, კიდევ მეორე საიაზმეთ ჩემის გამსდლისა ხორაშანისაგან შეწირული, ტახტი, საეპისკოპოსო შესამოსი, კანკელი დახიეს თათართა და მეორეთ იონათანს მე გავაკეთებინე, წმიდის ტრაპეზის შესამოსი შევჰკერე, ნალოები გავაკეთებინე, ხელის საბანი ტაშტი და ალთაფა პრეცმეტალისა ვიყიდე, სკამნი ფერჯთბანის ცერემონიისათვის ათორმეტი, ორი შესამოსის ყუთი ერთი რუსული და მეორე ტფილისს გავაკეთებინე; ზარი მოვატანინე რუსეთიდამ, შვენიერად ნაქმარი და შვენიერის ხმის მქონებელი; წმიდის ტრაპეზის შესამკობლად თეთრის დარიბავთისა შევაკერვინე წმიდას ოდიკს და სახარების ქვეშ გასაშლელად; სახლი გავაწყე ორჯელ და თათართაგან დატაცებულ ვიქმენ. წისქვილი მოვიტანე ორი წყვილი და დავაბრუნე სამთავისს და სხვანი მრავალნი რამ ვიმუშაკე რომელთა აქ მოხსენება საჭირო არ არის. ამა ჩემთა შენაწირთა ნურავინ ჭელჰყოფთ ამ ეკკლესიიდამ გამოხვებად. ვინც და რამაც კაცმან ჭელჰყოს ამის განხვებად და თავისთვის მოსახმარებლად, შერისხდი შენ ხატო მღუთაებისაო და ჩემთა ცოდვათა წილ იგიმცა დაისჯების და ვსთხოვ ჩემსა დიდებულსა შემოქმედსა ღმერთსაოდეს განვიდე ჯორცთაგან, ღირსმჰყოს ურცხვენელად წარდგომად წინაშე თჳსსა და დაჰფაროს სიმრავლე ცოდვათა ჩემთა. თქვენცა შეგვედრებთ სულსა ჩემსა, ჩემნო მოსაყდრენო, წმიდანო ეპისკოპოსნო და ღირსნო მღუდელნო, რათა არა ხუწბულ მჰყოთ მე მოხსენებისაგან და შენდობით და კურთხევით მომიხსენებდეთ, რათა თქვენცა იკურთხნეთ. ამასაც გთხოვთ ვედრებით წმიდანო ეპისკოპოსნო, ვინც იხილევდეთ საფლავსა ჩემსა, განხსნის ლოცვას წარმიკითხევდეთ და თქვენითა წმიდითა ჭელითა ჯვარს დამწერდეთ. ვთხოვ კიდევ ჩემს დიდებულს მღუთაების ხატსა პირმშოსა მას, რათა შემიწყალოს და დამიცუას სიმრთელითა, რომ რაიცა მაქვს კეთილი განზრახუა, იგინიცა ვმსახურო. ამასაც გწერთ ანდერძათ - ეკკლესიისა არავისთჳს რა მიმიცია - არა ოქრო, არა ვერცხლი, არაფერი რამ, თუ არ შესამატი და დასაკლისი არა მიქმნიარა და არცარა მახსოვსრა. ხოდაბუნი გამაჭრევინეს, მომატყუეს, ის ჩემგან დაწერილი წერილი მოტყუებით არის ჩემგან დაწერილი. რა ვქნა კაცი ვიყავ, შევცდი, უმეცრებით მომივიდა. მაშინ აქაურის საქმისა და ადგილისა გაუგებელი ვიყავ. ვინც შეიძლოთ ეცადენით, რომ ისევ თავისი ხოდაბუნი ეკლესიას დაუდოთ და ჩემი ბრალეულებაც

განსწმიდოთ და იმ გლეხის კაცის სახლიც განსწმიდოთ, დიდს ბრალში არის ისიცა. იცოდეთ მე არა მიმიღიარა, უწყის ღმერთმან და კაცმან - არა ვერცხლი, არა ოქრო, არა სხვა რაჲმე ნივთი და სხვათ რაც სხვათა ჩემთა მოსაყდრეთაგან ჰქონდათ ნაბოძები, დაუმტკიცე წერილები, გაუსწორე და მეც დავემოწმე ჩემთა მოსაყდრეთა. ვისაც ვემართლებოდი და სამართალი იყო, ისინი სულ ჭეშმარიტი და მართალი წერილები არის და თქვენც გევედრები დამტკიცებასა და წყალობასა მათსა და შეგვედრებთ ჩემთა აღზრდილთა აზნაურთა მოხელეთა, მსახურთა, სხვანიც ეპისკოპოსნი ყოფილიყვნენ მწყალობელნი მათნი, მეც ერთგულად დავახელენ ამ ეკკლესიაზედ. და მეცა ვსწყალობდი, ვითარცა მამაშვილთ მოყვარე. მადლი უფლისა ჩუᲬნისა იესო ქრისტესი იყავნ თქუᲬნ თანა ამინ. აღვსწერე თჳთ ჴელითა ჩემითა, თთუᲬსა მარტსა რიცხვსა Წ დღესა წელსა ჩყია სამთავისს. ყოვლად სამღუდელო გერვასი. ვერცხლის ჯვარის სასანთლეები ფილიპპე სამთავნელისაგან[10] ნასყიდი და შეწირული დაეგირავებინათ, ისიც მე დავიხსენ.... ეს ექვსი თუმანი ორს წელიწადს თუმანი... თვეში სარგებლითა და სასანთლეებიც ისევ შევსწირე. ყოვლად სამღუდელო გერვასი.

სამთავისში არის ძვირფასის ქვებით შემკული წინამძღვარი-დროშა, მღვდელთმთავრის წინ სატარებელი ლიტანიაზედ და ლაშქრობის დროს. ამ დროშის ჯვარს აწერია ხუცური ასო მთავრულით (1413-1442 წ.):

ქ. ჩვენ ამის გამოთ სკიპტრის მპყრობელმან მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე[11] მოვაჭედინე წინამძღვარი ესე ცხოვრებისა ჩემისა პატიოსანი ჯვარი სამთავისა წარსამართებელად მეფობისა ჩემისა, ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩემთა შესანდობელად

სამთავისის ბარძიმის ფეხზედ აწერია მხედრულათ (1767 წ.):

ქ. ჩღᲘᲖ. ტფილისის მიტროპოლიტი ათანასი[12] თავადი ამილახოროვი სამკვიდროსა თვისისა საეპისკოპოზოსა სამთავისისა ეკლესიასა ქრისტეს ამაღლებისასა თვისად და ყოველთა თვისთა სახსენებელად შესწირავს ამას თვისით გაწყობით. იესო, რომელი შეიწირე მსხვერპლად სახსრად სოფლისა და შეიწირები საიდუმლოსა შინა დღე ყოველ, შეიწირე ესე ცოდვილისაგან, ვითარცა ორნი მწვლილნი

სამთავისში ოქროს ჯვარზედ, 8x5½ სანტიმეტრი (1755 წ.):

ქ. ბატონისშვილის ბეიის ჩვენის თამარის[13] ჯვარი დაძველებულიყო, ჩვენ დიმიტრიმ გავაახლეთ. შენდობას მათვე უბრძანებდეთ, ქკს უმგ

იქვე, ვერცხლის პატარა ჯვარზედ:

ქ. ძელი ჭეშმარიტი მეფის ბაქარისა,[14] სამთავისის ღვთაებისა

სამთავისის ტრაპეზის შანდლის ფეხზედ აწერია მხედრულათ (1787 წ.):

ქ. ᵮ სამნათობიერო ღვთაებაო, არსებისა ხატო სამთავისისაო! მე ფრიად ცოდვილმან მეფის იესეს ასულმან ხვარაშან შემოგწირე მცირე ესე ძღვენი ჩემის მეუღლის, ამილახვარ-მდივანბეგის იესეს[15] სულის საოხად. მიიღე ვითარცა წვლილი ქვრივისა და შერაცხე მარჯვენეთა თანა დღესა მას განკითხვისასა. ნოემბრის, კ. ქკს უოე

სამთავისის ტაძრის ტრაპეზის ვერცხლის ჯვარზედ (1799 წ.):

ქ. სამთავნელ ეფისკოპოზმან მაჭავარიანმა გერვასიმ შემოვსწირე სამთავისის ღვთაების ეკკლესიასა წელსა ჩღᲟთ

სამთავისის ტრაპეზის მეორე შანდალზედ (1829 წ.):

ქ. დუშეთის უეზდის მარშალმა, მუხრანის ბატონის იოანეს ძემან დავით ბაგრატიონმა მუხრანცკიმ[16] შემოგწირე ვერცხლის შანდანი ესე სამთავისის ღვთაების ხატსა მეოხად და საკურნებელად ძისა ჩემისა ნიკოლოზისთვის[17] წელსა ჩყკთ

იქვე, ფეხიან ვერცხლის თასზედ (1832 წ.):

ქ. მუხრანის ბატონის სარდალ სახლთხუცის იოანეს ასულის ბარბარეს[18] მზითვისა ვარ. მისხალი ლგ.

წმიდა ღვთაების ხატს სამთავისისას შემოგწირე მუხრანის ბატონის ასულმან ბარბარემ საოხად სულთა ჩემთა. დეკემბრის ვ. ჩყლბ წ.

ეპიტაფიები

სამთავისის ტაძარი მეფე გიორგიმ უბოძა სასაფლაოდ ამილახვართა საგვარეულოს 1465 წელს. წინ მარჯვნივ, სამხრეთით გივიანი ასაფლავიან, მარცხნივ, ჩრდილოეთის კედლის მხარეს - რევაზიანი, ამბიონის წინ, მარჯვნივ - ავთანდილიანი, მარცხნივ - ბეჟანიანი, სამხრეთ სვეტს უკან და ჩრდილოეთით - ოთარიანი და ერასტიანი.

ამბიონის მარჯვნივ:

† 1771 წ. VIII/14: აღვესრულე ჩღოა წელსა, აგვისტოსსა იდ დღესა. ქ. ვინადგან უკვე არსთა მბადისა მიერ პირველთა ურჩებათათვის დაგვესაჯა სიკვდილი, ვერ განმრომელი მისგან, შეუდეგ კვალსა წინასწართა ჩემთასა ასული ჩოლოყაშვილის სალთხუცის საზვერლისა და თანა მეცხედრე ამილახორის ამირინდოსი ელენე[19] და აწ კნინსა და შეურაცხსა ამას საფ-ლავსა სტუმრებული და მიწით გამომტყველი გვედრებ მხილველსა ლო-დისა ამის ჩემზედა მდებარისათა, რათამცა კურთხევისაგან თქვენისა არა დაკლებულმყოთ მოქენე. ქკს უნთ.

† 1772 წ. II/I: აღვესრულე ჩღობ წელსა, თებერვალსა ა დღესა. ქ. უწინა-რესნი განსაზღვრებითნი აღთქმულნი მიწადვეობანი მოიწივნეს ჩემ ზედა და ორთა ერთად ქმნილებისაგან მრჩობლნივე განწვალებანი მომეცნენ, ერთი მარტივად ხელთა უფლისათა მივიდა და არა უწყი რაჲ ყოფად არს. ხოლო მეორე მიწისა მიწამანვე ამიწა! თქვენცა მიწითნო მხედნო, მიწით გამომვედრისა და ჟამსავე ჩემსა ქმნილისა ამის ლოდისა აღმომკითხველნო, ნუ დაკლებულ მყოფთ კურთხევითისა ხსენებისაგან თქვენისა, ოდეს მე თქვენ თანა მცხოვრებელსა ამილახორის ავთანდილის ძესა და თვით მხე-დართმთავარ ამილახორსა, ხოლო აქ მტუჱრავლ ქმნილსა და თქვენთა ლოცვათა შევრდომილსა ამირინდოს,[20] ქკს უჲ

† 1787 წ. IX/30: ქ. მხილველნო მისმინეთ რასა ესე ვჰხმობ საფლავით გამო და სცანთ ჩემნი და სოფლისა ამის საქმენი, რამეთუ მე, მეფის იესეს ასულისა თანა მეცხედრეობასა შინა მყოფი და ოდესმე პატივითა მეფეთაგან სახლთხუცესობითა პატივცემული და ქისიყის მოურავად დადგენილი და ქართლისა მსაჯულობასა შინა მყოფი და მემარჯვნეთა მხედრობათა სპასპეტი - წარმიტაცა სიკუდილმან და მხოლოჲსა ასულისა დამტევებელი მივეცი მიწასა დასამიწებლად და გევედრებით, ევედრენით ღმერთსა მე სარდარ ამილახვარ მდივანბეგი იესე[21] აქა ზემოჲსა ქართლისა მხედრობათა თანა ვარ, ზეცისა მხედრობათა თანა დამაწესოს. წელსა ჩღპზ, თთუჱსა სეკდემბერსა, ლ

† 1790 წ. VI/22: ქ. მხილველნო იხილეთ საქმენი ჩემნი შესაწყალნი. მე ვიყავ ასული მეფისა იესესი ხვარაშან,[22] დაჲ ქართველთ განმაბრძნობელისა ქათალიკოზის ანტონისა და თანა მეცხედრე ქართლის მსაჯულ-სპასპეტისა ამილახორის იესესი. სიკუდილმან დიდება ჩემი იგი მშობელი მოჰკუწთა და ნათელი თვალთა ჩემთა ჩემი იგი ძმა სიბრძნისა მეწყაროე მიმტაცა და თანა მეცხედრე ჩემი წარიტაცა განსახრწნელად და ეს გუარსა მწუხარებასა დაშთომილი ჟამსა მოხუცებულობისასა მიმცა მიწა მიწასა. გვედრით მხილველნო, ჰყავთ შენდობაჲ. აღვესრულე იუნისსა, კბ, ქკს უოწ

ჩრდილოეთის სვეტის წინ:

† 1787 წ. XII/23: ქ. წალკოტი ჩემთა სიჭაბუკისა ყვავილთა, დაჭკნა უჟამოდ მიწასა შავსაბნელსა, მომსხლა უწყალოდ სიკუდილისა მანგალმან მომკო ჩემ შორის ძლიერება ტანისა. მოვკუდი ყრმა ჯერეთ ტრფიალი სიცოცხლისა. მკლავნი რაინდნი შეკრულნი სუდარითა მკერდსა. ლომებსა დამეხსნეს შესაწყალად, გიშრისა ტბათა მომზღუდველნი ინდელნი შავნი გუგანი დაიწუსნეს უნათლოდ, დასცხრეს ხედვანი სატრფიალოთა ჩემთა, კუბო მორთული იწრო კელია ჩემ მეფისა სძლისა თვალთაგან საცრემლეთა ღვრიდა ღებილთა ძმისათვის მწთოლვარეთა თხარეს მტირალთა საფლავი ესე ჩემი და დამდვა დამან ლოდი დავიწყებისა. თქუენ საყუარელნო სწორნო ჭაბუკნო ჩემნო ცოცხალი ვიცი გიყვარდით საზოგადოდ. მოგწონდათ ჩემი სამამაცო ზნეობა, ქცევა, სიმარჯვე, მხედრობა ასპარეზსა, დავმიწდი ვაჲ მიგლოვეთ მიწა ძმანო. აღვესრულე წლისა, კდ, ამილახვრის რევაზის ძე იოანე,[23] ეშიკასბაში მეფის ძის ვახტანგისა და მდებარე აქა ვარ მხილველთაგან შენდობისა მოქენე, დეკემბერსა, კგ, წელთა ჩღპზ

† 1813 წ. VIII/15: ქ. საწუთოსა ამას შინა ცხოვრებულთა ზედა ბუნებად დასჯილმან სიკუდილმან აღიღო ჩემ ზედაცა ბრჭალი მისი მანგალი იგი უწყალოდ მომკუ(წთე)ლი და ტაძარი სულისა ჩემისა დაარღვიეს, ჭირნი ჩემნი ბრძოლვილ იქმნეს და აღსდგეს თვის თვისად და მივეც მიწაჲ მიწასა მე, ასული ორბელიანის დავითისა ეკატირინა,[24] სისხლთ სირაქმნილი მეფეთა და ესენი ჩემდა ურგებ, გარნა ეგრეთცა განვეშორე სასურველსა მეუღლესა თავადსა გიორგი ამილახვარსა,[25] საყვარელთა შვილთა, ნათესავთა და თვისთა. ხოლო აწ მიწაჲ მიწათ გამოვჴმობ თქვენდამი აღმკითხველთა მაგეთ შენდობა. თვესა აგვისტოსა, იე, წელსა ჩყიგ.

† 1816: ქ. მრავალ ცვალებადმან ძნელად მისანდობელთა უნდოთა საწუთოსამან და უწყალოდ მპატიჟებელმან ადამის ნათესავთამან და ორსახეობამან სიხარულსა და მწუხარებისამან აღმიმართეს ალამი სიკუდილისა და შეიცვალა სიხარული ჩემი გლოვად, მზემან ჩემმან იწყო დაბნელებად და მთოვარემან ჩემმან განლევად და ორნივე ზოდნი ცისანი საკვდავად მოიწივნეს და შვეს სასმელი სიკვდილისა და დავიძინე იწროსა და ბნელსა ამას შინა საფლავსა და მოვაკლდი საყვარელსა ჩემსა მეუღლესა და შვილთა ჩემთა და უწინარეს, იე, დღისა პირმშოჲ ძე ჩემი ბარამ წიაღთაგან ჩვენთა მიგვტაცა და მეცა გლოვასა შინა და ურვასა მყოფი მყისვე მომკვეთა და ორნივე აქა დავეფალით და საყვარელმან ჩემმან მეუღლემან ელისაბედ დაგვდა ორთავე ლოდი ესე სიყვარულისა წილ ჩვენისა და ურთიერთას ამბორისა წილ დაფარა მიწითა ბაგენი ჩემნი და შეტკბობისა წილ მიქმნა

ლუსკუმა ესე და დაუტევენ, ე, ძენი და ერთი ასული და თან ფერცხალი ჩემი გლოვასა შინა ამილახორი ბეჟანის ძე ი“ე,[26] წლისა მე, წელსა ჩყივ

სვეტებს შუა

† 1814: ჩვილი ნიკოლოზ ავთანდილის ძე ამილახვარი[27]

† 1819: მიიცვალა იოანე ამილახვრის მეუღლე, ასული მამუკა ხიდირბეგისა[28]

† 1825 წ. XI/20: თავადი ვახტანგ ქაიხოსროს ძე ამილახვარი[29]

† 1828 წ. III/6: ქ. არ დაჰზოგა სიყრმე ჩემი გაუკითხავმან სიკუდილმან ჟამსა ახალყვავილოვანსა ასაკისასა, რომელმანცა, ვითარცა მახვილმან მომკვეთა სიცოცხლისაგან და განმაშორა მე ასული მილახვრისა იოსებ ყორღანოვისა, კნეინა ქეთევან,[30] თ“ა იასე ამილახვაროვისა, საყვარელსა მშობელსა, ძმათა და ტომთაგან რომელთაც დაუტევე ორნი ობოლნი იოანე და კონსტანტინე და გაველ ნატრული ამათი ამა სოფლისაგან. მხილველთა ვთხოვ სულსა ჩემსა შენდობა უბძანოთ ჩყკ‌ჷ წელსა, მარტის ვ

† 1832: თ“ა იოანე ამილახვრის მეცხედრე კნეინა მელანია, 42 წლისა[31]

† 1832: ოკტომბრის 2. ომში მიიცვალა თ“ა გივი იოანეს ძე ამილახვარი,[32] 22 წლისა

† 1835: გარდაიცვალა თ“ა გიორგი ქაიხოსროს ძე ამილახვარი,[33] 40 წლის

† 1837: ქ. ჶ ამაო სოფელო, რა უჟამოთ მამაშორე ყოველთა მოყვასთა, შვილთა და ქმარსა ჩემსა! საფლავსა ამას განისვენებს კნეინა ქეთევან ბეჟან ამილახვრისა,[34] ასული მირმანოზ ერისთავისა. წამკვითხველნო შენდობა მიბრძანეთ. აღსრულდა ამიერ სოფლით ჩყლ‌ზ წ. თებერვლის, ი‌ჷ, დღესა

† 1838: მარტის 1 მიიცვალა დიმიტრი ამილახვრის ქვრივი კნეინა ხორეშან ზაქარიას ასული,[35] 80 წლისა

† 1846 IV/16: კნეინა სოფიო გაბრიელის ასული,[36] თ“ა გიორგი ამილახვაროვისა გარდაიცვალა 16 აპრილს

† 1848 VIII/31: კნეინა მარიამ დავითის ასული,[37] თ“ა გიორგი ამილახვაროვისა გარდაიცვალა გარდაიცვალა 31 აგვისტოს

† 1850 წ. XI/21: აქა მდებარეს გვამი თავადის ვახტანგ ამილახვრის მეუღლის ანნასი, ბეცია გედევანოვის ასულისა,[38] შობილისა 1796 წ., რომელმან დაუტევა ერთი საყვარელი ასული, ნადკორნი სოვეტნიკის იაკინთე ალექსიევის მეუღლე ნატალია და შთააბნია აქა მტვერი თვისი 1850 წ. ნოემბრის 21, ხოლო ნიში ესე უქმნა მგოდებელმან ასულმან მისმან ნუგეშად თვისდა მშობელსა თვისსა, და შენ ჶ სახიერო მეუფეო განუსვენე სულსა მხევლისა ამის შენისასა სადაცა მართალნი განისვენებენ

† 1851 XI/24: კნეინა ელისაბედ აღათანგის ასული თ“ა იოსებ ამილახვაროვისა,[39] გარდაიცვალა 24 ნოემბერს

† 1861 IV/16: აქა მდებარეს გვამი თავადის ბარძიმ ამილახუარისა,[40] გარდაცუალებულისა 16 აპრილსა 1861 წ. ცხოვრებისა მისისა 78 წლისა. აჰა ესერა ღმერთი შემწე ჩემდა და უფალი შესავედრებელ სულისა ჩემისა.

† 1859 VIII/23: საფლავსა ამას შინა განისვენებს გვამი გარდაცვალებულის თ“ა იოსებ ბარძიმის ძე ამილახვარი,[41] დაიბადა 1814 წ. გარდაიცვალა 23 აგვისტოს

† 1862 V/24: ლოდსა ამას ქვეშე განისვენებს მტვერი ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის პორუჩიკის თ“ა ნიკოლოოზ გივის ძის ამილახვრისა,[42] მოკლულისა 24 მაისს 1862 წ. ბრძოლასა შინა აბაზეხთა თანა, მდინარესა ინარისასა, რომელსა ეწოდება ბელაია, მახლობელ აბაზეხის სტანცისა, 29 წლისა შობიდგან

† 1870: თ“ა დავით გიორგის ძე ამილახვარი,[43] გარდაიცვალა მარტს 1, 1870 წ. შობიდგან 47 წლისა

სამხრეთის სვეტთან დასავლეთით:

† 1875: აქა განისვენებენ ძუალნი თ“ა ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ამილახვრისა,[44] გარდაიცვალა 7 იანვარს 1875 წ.

და მეუღლე მისი კნეინა ნინო ივანე გედევანოვის ასული[45]

† 1876 წ. VIII/16: მოიხსენე უფალო მონა და მხევალი ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა

† 1877 წ. VII/19: წყაროო ცხოვრებისაო, ქრისტე, უფსკრულო სახიერებისაო, მოვივლტვი შენდა უღირსი მონა შენი და გვედრი ნუ მოიჴსენებ ცოდვათა ჩემთა აურაცხელთა, დააწესე სული ჩემი საყოფელსა მართალთასა და მომადლე მას საუკუნო განსვენება! ლოდსა ამას ქვეშე განისვენებს მტვერი თ“ა გივი ამილახუარისა,[46] რომელი იყო ძე ბარძიმ დავითის ძის ამილახვრისა. გარდაიცვალა 1877 წ. ივლისის 19, შობიდგან 68 წლისა

სამკვეთლოს წინ:

† 1860 წ. IX/20: თ“ა გიორგი იოსების ძე ამილახვარი,[47] გარდაიცვალა 1860 წ. სეკდენბრის 20

ამბიონის წინ:

† 1875 წ. VIII/20: ლოდი ესე ჰფარავს მტუᲮრსა კნიაღინია ნადეჟდასასა.[48] ესე იყო ასული თ“ა ივანე იესეს ძე ამილახვრისა და მეუღლე ღვარდიის შტაბროტმისტრის თ“ა დავით ალექსანდრეს ძის სუმბათოვისა, იშვა 4 ოკტომბერს 1849 წ. გარდაიცვალა 20 აგვისტოს 1875 წ.

ჩრდილოეთის სვეტთან სამხრეთით:

† 1878: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი იაკინთე დიმიტრის ძე ალექსიევ-მესხიევი.[49] 1805-1878 წ. სეკტემბრის 18

ამილახორის სადგომსა და სამხრეთ კედელს შუა:

† 1880: აქა მდებარე სოფიო თავადის მირმანოზ ერისთვის ასული კნეინა იოსებ ბარძიმის ძე ამილახვრისა.[50] დაიბადა 1817 წ. გარდაიცვალა 1880 წ. ღმერთო მიეც ცხონება!

სამხრეთს კედელსა და სვეტს შუა

† 1876: საფლავსა ამას შინა განისვენებს გვამი გარდაცვალებულის თ“ა ზაქარია იოსების ძე ამილახვრისა.[51] დაიბადა 1849 წ. მარტის 31, გარდაიცვალა 11 სეკტემბერს 1876 წ.

† 1883: თ“ა მიხეილ გივის ძე ამილახვარი,[52] დაიბადა 1832 წ. ივლისის 25, გარდაიცვალა 1883 წ. დეკემბრის 15

† 1886: აქა მდებარე ანასტასია თ“ა ლუარსაბ ქსნის ერისთავის ასული კნეინა ამილახვრისა.[53] დაბადებული 1809 წ. ოკტომბრის 20, გარდაიცვალა 1886 წ. ნოემბრის 17

ამბიონის მარცხნივ

† 1887: აქ განისვენებს გვამი თ“ა ივანე თეიმურაზის ძის ამილახვრისა,[54] გარდაიცვალა 23 მარტს 1887 წ.

საწიგნეს ჩრდილოეთით

† 1888: საფლავსა ამას შინა განისვენებს გვამი გარდაცვალებულის თ“ა იოანე გიორგის ძე ამილახვარისა,[55] დაიბადა 1831 წ. ივნისის 4, გარდაიცვალა 1888 წ. ნოემბრის 24

† 1888: თ“ა ალექსანდრე იოსების ძე ამილახვარი,[56] დაიბადა 1843 წ. ოკტომბრის 17, გარდაიცვალა 1888 წ. დეკემბრის 20

† 1894: ქ. ვახტანგ ამილახვრის ასული ნატალია ალექსიევ-მესხიევისა,[57] დაიბადა 26 აგვისტოს 1826 წ. გარდაიცვალა 17 თებერვალს 1894 წ.

† 1895 წ. III/28: თ“ა გიორგი ივანეს ძე ამილახვარი,[58] დაიბადა 1820 წ. გარდაიცვალა ოკტომბრის 30

† 1895: აქ განისვენებს გვამი გარდაცვალებულის, თ“ა თეიმურაზ ამილახვრის ასულის ელისაბედისა, გარდაცვალებული 29 დეკემბერს 1895 წ.

† 1897: საფლავსა ამას შინა განისვენებს გვამი გარდაცვალებულის თ“ა ნიკოლოზ ივანეს ძე ამილახვარი,[59] დაიბადა 1875 წ. 24 მარტს, გარდაიცვალა დეკემბრის 25, 1897 წ.

† 1903: თ“ა რევაზ გიორგის ძე ამილახვარი,[60] დაიბადა 1832 წ. მაისის 16, გარდაიცვალა 30 ღვინობისთვეს 1903 წ.

სამხრეთით სამწირველოში მარცხნივ

† 1908: კნეინა ნინო იოსებ ფავლენოვის ასული ამილახვარისა,[61] დაიბადა 2 იანვარს 1844 წ. გარდაიცვალა 23 თებერვალს 1908 წ.

იქვე, მარჯვნივ

† 1910: მარიამ ზაქარია ამილახვრის ასული ეგაძისა,[62] დაიბადა 19 თებერვალს 1877 წ. გარდაიცვალა 23 მაისს 1910 წ.



1. სამთავისის ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. საქართველოს ეროვნული არქივი, კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური არქივი.



2. სამთავისის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. საქართველოს ეროვნული არქივი, კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური არქივი.

3. სამთავისის ეკლესია. დასავლეთ ფასადი. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. საქართველოს ეროვნული არქივი, კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური არქივი.



4. სამთავისის ეკლესიის პროექტი. არქიტექტორი ფრანსუა ქსავიე რიპარდი. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 205, საქმე 2125 (1847 წელი).



5. დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის უბის წიგნაკი. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1461, საქმე 48.



6. დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის უბის წიგნაკი. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1461, საქმე 128.



7. დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის უბის წიგნაკი. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1461, საქმე 128.

1 ილარიონ სამთავნელს ტაძარი აუგია 1030 წელს, მოგვიანებით, 1050 წელს კი - მარანი და საწნახელი (ეს წარწერიანი ფილა თედო ჟორდანიას უპოვია ტაძრის ეზოში და პირველი პუბლიკაციაც მას ეკუთვნის). სამთავისის ტაძრისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ილარიონ სამთავნელი ტაძრის ხუროთმოძღვრად არის მიჩნეული (სოხაშვილი, 1973:76-81; ზაქარაია, 1990:9-10; ბერიძე, 2014:118-119). თედო ჟორდანიას ვარაუდით, საკათედრო ტაძრის ჯვრის 1056 წლის წარწერაში, რომელიც თავის დროზე მარი ბროსემ გამოაქვეყნა, შესაძლოა, აღნიშნული ყოფილიყო ილარიონ სამთავნელის გარდაცვალების თარიღი. (ქრონიკები, 1892: 171-172, 201-202).

2 შვიდსტრიქონიანი წარწერა შესრულებულია დასავლეთ ფასადზე, კარს ზემოთ. წარწერის მიხედვით, სამთავნელ ეპისკოპოსს, იოანეს 1168 წელს ტაძრისთვის კარიბჭე მიუშენებია. კარიბჭე XIX საუკუნის შუა წლებში, საკათედრო ტაძრის განახლებისას დაანგრიეს. (ზაქარაია, 1990:10).

3 წარწერა დასავლეთ ფასადზე, შეწყვილებული სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზეა მოთავსებული. პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, იმერეთის მეფე ბაგრატმა (VI) ქართლის დამორჩილების მიზნით დაიახლოვა სულმამა ზევდგინიძე და მის შვილს, სიაოშს თავისი და, გაიანე მიათხოვა - "ამა გაიანემ განაახლა სამთავისის ტაძარი, უზუნ-ასანისაგან აკლებული 1477-1478 წწ. გაიანე მოლოზნად შედგა 1508 წ., რადგან სიაოში წინა წელიწადს მიიცვალა. სულ ორიოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა (†1510)" (იგულისხმება გაიანე). (კარბელაშვილი, 1913:109).

4 პოლიევქტოს კარბელაშვილი წარწერაში კითხულობს სახელს - „სვიმონი" . ამავე სახელს ვხვდებით ალექსანდრე ხახანაშვილთანაც (Хаханов, 1898:44). სამთავისის ტაძრის განმაახლებელთა ვინაობის საკითხის განხილვისას სარა ბარნაველი კითხულობს სახელს - „სიაოშ" და მიიჩნევს, რომ იგი არის არა ტაძრის მეორედ განმაახლებელი, არამედ მეორედ განმაახლებლის, ანუ გაიანეს შვილი (ბარნაველი, 1951:576). იური ჩიქოვანის ნაშრომში აღნიშნულია, რომ სიმონი იყო სიაოშ ამილახვრის (გაიანეს თანამეცხედრის) სახელი ბერად აღკვეცის შემდეგ. (ჩიქოვანი, 2010:3).

5 პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, დიმიტრი ამილახვარი († 1728) იყო - "ძმა დიდი გივისა და ნიკოლაოზ კათალიკოზისა და ძე ისტორიულის პირის იოთამისა". (სეა, ფონდი 1461, საქმე №128, ფ. 8v). იგი დაქორწინებული ყოფილა დავით ქსნის ერისთავის ასულ თამარზე.

6 მიტროპოლიტი ბენედიკტე სამთავისის საეპისკოპოსო კათედრის მღვდელთ-მთავრად ჩანს 1747-1759 წლებში. სამთავისის მონასტრისადმი შეწირული, ხსენებული სახარება დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H-2901).

7 მიტროპოლიტი გერვასი - წილკნის საეპისკოპოსოს უკანასკნელი მღვდელთ-მთავარი (†05.02.1817). ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას კავკასიის მთიელ ხალხთა შორის (ცერაძე, 1990: 56-57). პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით - „1799 წლიდან 1816 წლამდე სამთავნელად იხსენიება უკანასკნელი სამთავნელი გერვასი". (სეა, ფონდი 1461, საქმე №14, ფ. 28r, ფ. 34v).

8 იესე (ალიყული ხანი, † 1727) - ქართლის მეფე 1714-1716, 1724-1727 წლებში. ძე ლევან ბატონიშვილისა და ძმა ვახტანგ VI-სა.

9 ანტონ I (თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი) - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1747-1788 წლებში.

10 პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, სამთავნელი მიტროპოლიტი ფი-ლიპე (გურამიშვილი) ჩანს 1779 წელს. მანამდე კი (ამირინდო ამილახვრის და ელენე ჩოლოყაშვილის მიერ სამთავისის მონასტრისადმი გაღებული შეწირულობების მი-ხედვით), XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, სამთავნელად იხსენიება გერმანე ქარუმიძე. (სეა, ფონდი 1461, საქმე №14, ფ. 28r).

11 ალექსანდრე I დიდი - საქართველოს მეფე (1412-1442). პოლიექვტოს კარბე-

ლაშვილი სამთავისის საკათედრო ტაძარში დაცულ ხსენებულ სიძველეს სწორედ მისი მეფობის პერიოდით ათარიღებს.

12 პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით - *„ათანასე ამილახვარი იყო რუსეთში ვახტანგ VI არქიდიაკონი, აკურთხეს არქიმანდრიტად ასტრახანში, შემდეგ საქართველოში - ეპისკოპოსად რუისის კათედრაზე, მროველად - 1733 წ. ათანასე იყო მქადაგებელი და მცოდნე. ამისათვის მეფე ირაკლიმ იგი გაგზავნა აბდულა ბეგთან, კათალიკოს ანტონის ძმასთან.. როცა სპარსელები გაცხოველებით ემზადებოდნენ საქართველოს ასაკლებად, ირაკლიმ იგივე ათანასე რუსეთში გაგზავნა 1752 წ. 30 მაისს (იხ. ქართ. ცხ., 444გვ.) პეტერბურგში იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულთან შემწეობისათვის. მოსკოვში მივიდა 26 ნოემბერს 1752 წ. 15 კაცით, მათ შორის იყო სვიმონ მაყაშვილი. სვიმონი დაბრუნდა ამალით, ხოლო ათანასემ სთხოვა იმპერატრიცას 1754 წ. რუსეთში დარჩენის ნებართვა და ჯამაგირის დანიშვნა - „სიბერის გამო ვეღარ დავბრუნდები საქართველოში, სადაც დიდი არეულობაა“.* (იოსელიანი, 1990:278-279).

მიტროპოლიტი ათანასე გარდაცვლილა 1774 წლის 9 ივნისს; დაკრძალულია დონის მონასტერში. მისი ძმები იყვნენ ვახტანგ, გივი და ამირინდო ამილახვრები (ბერძნიშვილი, 1980:105).

13 ჯვრის განმაახლებელი დიმიტრი უნდა იყოს იოთამ ამილახვარის ძე, ყორჩიბაში. იოთამის დედა - თამარ ბატონიშვილი იყო ლუარსაბ I-ის (ქართლის მეფე 1527-1556 წწ.) ძის, ვახტანგის ასული.

14 მეფე ვახტანგ VI-ის ძე, ქართლის ჯანიშინი 1716-1719 წლებში (შაჰნავაზ III-ის სახელით) – „ვინაითგან ჰგონებდა მეფე ვახტანგ წარსვლასა ხორასანს, ამისთვის ჰკადრა ყეენსა, რათა მისცეს მეფობა ქართლისა ძესა თვისსა ბაქარს, უსმინა და მოსცა და მიაქციეს რჯულსა მათსა მხოლოდ სიტყვითა და არა საქმითაცა.“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 496).

15 იხ. 1787 და 1790 წლების ეპიტაფიებთან დაკავშირებული შენიშვნები.

16 პორუჩიკი დავითი, იოანე მუხრანბატონის ძე - დუშეთის მაზრის წინამძღოლი (1827 წ.) და შტაბ-კაპიტანი (Чиковани, 2024:59, 65). დავითის დედა, ქეთევანი იყო მეფე ერეკლე II-ის ასული. (ბერძნიშვილი, 1983:113).

17 პოლკოვნიკი ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი - დავითის მესამე შვილი (1822-1885). დაქორწინებული იყო ანნა ტრუბნიკოვაზე. (Чиковани, 2024:66).

18 პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, „ბარბარე იყო მეუღლე თორნიკე ერისთავისა, † 1843 წ. ივლისის 24. მარხია იკორთის ტაძარში, შობიდგან 53 წ., ბარბარეს დედა იყო ბატონიშვილი ქეთევან, ერეკლე მეფის ასული. † 4 მარტს 1838 წ.“. (სეა, ფონდი 1461, საქმე №128, ფ. 35v). ლამისყანაში მცხოვრები მაიორი თორნიკე იესეს ძე ერისთავი 1860 წელს გარდაცვლილა და დაუკრძალავთ სამთავისის საკათედრო ტაძარში. დასაფ-ლავებისას სიტყვა წარმოუთქვამს სამთავისის ტაძრის მღვდელს, პოლიევქტოს კარბელაშვილის უფროს ძმას, ფილიმონს. (ბერძნიშვილი, 1980:236; A ფონდის აღწერილობა, 1955:159).

19 საზვერელ ჩოლოყაშვილის ასული ელენე, მეუღლესთან, ამირინდო ავთანდილის ძე ამილახვართან ერთად იხსენიება ჯვარპატიოსნის ეკლესიის საოღმშენებლო წარწერაში (1754 წ. სეა, ფონდი 1461, საქმე №128, ფ. 32r; კარბელაშვილი, 1913:118). სამთავისის მონასტრის იმ საბუთებს შორის, რომლებიც პოლიევქტოს კარბელაშვილს აქვს გადაწერილი, არის ელენე ჩოლოყაშვილის და ამირინდო ამილახვრის შეწირულობები სამთავისის ღვთაების მონასტრისადმი. (სეა, ფონდი 1461, საქმე № 14, ფფ. 26r-30r). (ხაინდრავა, 2015:244).

20 პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, „ამირინდო ამილახორი იყო ძე ავთანდილისა. ამილახორობა მიიღო ამირინდომ 1747წ. მეფე ირაკლისაგან ბატონიშვილი

უსეინ-ბეგთან ბრძოლის დროს საბარათისშვილო მამულში - დიმიტრის მაგიერად.“ (სეა, ფონდი 1461, საქმე №128, ფ. 9r). (ხაინდრავა, 2015:245-247).

21 დავით ამილახვრის ძე იესე (იასე) - ქიზიყის მოურავი, მდივანბეგი და სარდალი. დაქორწინებული იყო მეფე იესეს (ალიყული ხანი) ასულ ხორეშანზე. (ჩიქოვანი, 2010:6). (ხაინდრავა 2015:247-248).

22 მეფე იესეს ასული და აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის და. ხორეშან ბატონიშვილის დედა, ელენე (ელისაბედი) იყო ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე I-ის და ანა ჩოლოყაშვილის შვილი. (ხაინდრავა, 2015:248-249).

23 ეპიტაფიის მიხედვით, იოანე რევაზის ძე ამილახვარი გარდაცვლილა 24 წლისა (დაბ. 1763 წ.). პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, მისი და, სალომე იყო მეფე ერეკლე II-ის ძის, იულონის მეუღლე. (სეა, ფონდი 1461, საქმე №128, 41r). (ხაინდრავა, 2015:248).

24 ეკატირინა ორბელიანი - გიორგი ქაიხოსროს ძე ამილახვრის მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:27). პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, ეკატირინეს დედა იყო მეფე ერეკლე II-ის ასული თამარ ბატონიშვილი. (სეა, ფონდი 1461, საქმე №128, 41v).

25 პოდპოლკოვნიკი გიორგი ქაიხოსროს ძე ამილახვარი (1775-1815) - გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი (ჩიქოვანი, 2010:27). როგორც რუსეთის მომხრე, იგი დაპირისპირებული ყოფილა იულონ ბატონიშვილთან. (ბერძნიშვილი, 1980:129).

26 პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, ივანე ბეჟანის ძე ამილახვრის შვილები (თეიმურაზ, ბეჟან, გივი, ამირინდო) ჩანან 1821 წლის საბუთებში (სეა, ფონდი 1461, საქმე №128, 42r). ეპიტაფიის მიხედვით, იგი გარდაცვალებისას 45 წლის ყოფილა (დაბ. 1771 წ.) და თავის შვილთან, ბარამთან, ერთად დაუკრძალავთ.

27 ავთანდილ ერასტის ძე ამილახვრის (ჩანს 1775-1814 წლებში) შვილი. ავთანდილი დაქორწინებული ყოფილა ანა (ანანა) ეგნატეს ასულ თუმანიშვილზე. (ჩიქოვანი, 2010:7).

28 მამუკა ხიდირბეგიშვილის ასული ელისაბედი (1771-1819) იოანე ბეჟანის ძე ამილახვრის მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:23). მამუკა ხიდირბეგისშვილი იხსენიება 1771 წლის საბუთში, რომელიც წარმოადგენს ერეკლე მეფის წერილს რევაზ ამილახვრისადმი. ეს საბუთი პოლიევქტის კარბელაშვილს აქვს გადაწერილი. (სეა, ფონდი 1461, საქმე №14, ფ. 44r.).

29 ვახტანგ ქაიხოსროს ძე ამილახვარი დაქორწინებული ყოფილა ანა ბეციას ასულ გედევანიშვილზე (ჩიქოვანი, 2010:27). პოლიევქტოს კარბელაშვილის ხელით გადაწერილ ერთ საბუთში (1802 წ. IV/18. გაცემული კათალიკოს ანტონ II-ისგან) სარდალი ბეცია გედევანიშვილი დასახელებულია მცხეთის მოურავად. (სეა, ფონდი 1461, საქმე №3, ფ. 36v).

30 ქეთევანი იყო იასე გიორგის ძე ამილახვრის. (ჩიქოვანი, 2010:28).

31 მელანია ვახუშტის ასული ჯავახიშვილი დაქორწინებული ყოფილა ივანე/ იოვანე გიორგის (გოგიას) ძე ამილახვარზე. ეპიტაფიის მიხედვით, იგი 1790 წელს დაბადებულა. იური ჩიქოვანის ნაშრომში დაბადების თარიღად დასახელებულია 1788 წელი. (ჩიქოვანი, 2010:14).

32 სოფელ ქვემოჭალის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1832 წლის საეკლესიო (მეტრიკული) წიგნის მიხედვით - ოკდომბერში, ორსა რიცხვსა თავადი გივი იოანეს ძე ამილახვაროვი მოკვდა, ომსა შინა, კბ წლისა. (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე № 153, სააქტო 2). დაბადებული ყოფილა 1810 წელს.

33 ქვემოჭალის 1836 წლის საეკლესიო წიგნში აღნიშნულია - მარტის თხუთმეტსა რიცხვსა გორის უეზდის სოფელს ჭალას მცხოვრებელი თავადი გიორგი ქაიხოსროს ძე ამილახვაროვი გარდაიცვალა წლისა მ. (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე № 262, სააქტო 1).

34 ქეთევან მირმანოზის ერისთავის ასული (მანანა ორბელიანის და) 1833 წელს დაქორწინდა პოდპორუჩიკ ბეჟან იოანეს ძე ამილახვარზე (ბერძნიშვილი, 1980:129). პოდპოლკოვნიკი, თავადი მირმანოზ ერისთავი იხსენიება პოლიევქტოს კარბელაშვილის ხელით გადაწერილ 1819 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში. (სეა, ფონდი 1461, საქმე №7, ფ. 7v).

35 დემეტრე ნიკოლოზის ძე ამილახვრის მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:7). ეპიტაფიის მიხედვით, ხორეშანი 80 წლის გარდაცვლილა. თუმცა, ქვემოჭალის 1838 წლის საეკლესიო წიგნში აღნიშნულია, რომ იგი გარდაცვალებისას 70 წლის ყოფილა (დაბ. 1768 წ.). (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე №319, სააქტო 1).

36 სოფიო გაბრიელის ასული მაღალაშვილი 1830 წელს დაქორწინებულა გიორგი იოსების ძე ამიალხვარზე (ჩიქოვანი, 2010:8). ქვემოჭალის საეკლესიო წიგნის მიხედვით, იგი 30 წლისა გარდაცვლილა. (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე № 596, სააქტო 3).

37 მარიამ დავითის ასული პავლიაშვილი 1848 წელს დაქორწინებულა გიორგი იოსების ძე ამილახვარზე (ჩიქოვანი, 2010:27). ეპიტაფიის მიხედვით, იგი გარდაცვლილა 31 აგვისტოს, თუმცა ქვემოჭალის იმავე წლის საეკლესიო წიგნში მითითებულია 31 ივლისი. (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე № 712, სააქტო 1).

38 იხ. 1825 წლის ეპიტაფიასთან დაკავშირებული შენიშვნა.

39 იოსებ ივანეს ძე ამილახვრის მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:8). გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით იგივე მონაცემებია აღნიშნული ქვემოჭალის 1851 წლის საეკლესიო წიგნშიც. (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე № 882, სააქტო 9).

40 ბარძიმ ამილახვარი იყო მეფეების - ერეკლე II-ის და გიორგი XIII-ის სარდალი. მეუღლე - მაია გიორგის ასული ფალავანდიშვილი (ბერძნიშვილი, 1980:128; ჩიქოვანი, 2010:18).

41 ჩიქოვანი, 2010:19.

42 ჩიქოვანი, 2010:14; ხაინდრავა, 2017: ნიკოლოზ გივის ძე ამილახვრის ეპიტაფია.

43 ჩიქოვანი, 2010:11.

44 ჩიქოვანი, 2010:8. პრაპორშიკი ლუარსაბ ამილახვარი გარდაცვალებისას 70 წლის ყოფილა (დაბ. 1805 წ.), (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 852, სააქტო 1).

45 ნინო გედევანიშვილი (იოვანე ამილახვარის დედა) გარდაიცვალა 61 წლის (დაბ. 1815 წ.), (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე №853, სააქტო 3).

46 პრაპორშიკი გივი ამილახვარი დაქორწინებული ყოფილა ლუარსაბ ქსნის ერისთავის ასულ ანასტასიაზე, მეორედ - ანასტასია დავითის ასულ თაზიშვილზე. (ჩიქოვანი, 2010:19; ხაინდრავა 2017: გივი ბარძიმის ძე ამილახვრის ეპიტაფია). ეპიტაფიის მიხედვით იგი გარდაცვლილა 68 წლის, თუმცა, ქვემოჭალის საეკლესიო წიგნის მიხედვით იგი გარდაცვალებისას 60 წლის ყოფილა (დაბ. 1817 წ.), (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 899, სააქტო 2).

47 გიორგი იოსების ძე ამილახვარი დაქორწინებული ყოფილა სოფიო გაბრიელის ასულ მაღალაშვილზე (1830 წ.), მარიამ დავითის ასულ პავლიაშვილზე (13.02.1848 წლიდან) და ანასტასია იაკობის ასულ პაულზე (4.06.1854 წლიდან). (ჩიქოვანი, 2010:8; ხაინდრავა, 2017: გიორგი იოსების ძე ამილახვრის ეპიტაფია). ქვემოჭალის საეკლესიო წიგნში აღნიშნულია, რომ იგი გარდაცვლილა 50 წლის (დაბ. 1810 წ.), (სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე № 1375, სააქტო 3).

48 გენერალ-ლეიტენანტ, თავად დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილის (1831-1920 წწ.) მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:29).

49 თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ (1821 წ.) იაკინთე

ალექსი-მესხიშვილი მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასა და თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. იყო ახალციხის, ქუთაისის და თელავის მაზრის უფროსი სხვადასხვა წლებში. თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველად დანიშვნის შემდეგ მალევე იღებს წოდებას - „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ (1862 წ.). (ბერძნიშვილი, 1980:116). მისი მეუღლე (1835 წლიდან) იყო ნატალია ვახტანგის ასული ამილახვარი (ჩიქოვანი, 2010:28). ქვემოჭალის ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის 1878 წლის წიგნის მონაცემებით მიხედვით, იგი 1808 წელს დაბადებულა; გარდაიცვალა 70 წლისა, (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 855, სააქტო 13).

50 იოსებ ბარძიმის ძე ამილახვრის მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:19). ეპიტაფიაზე მითითებულია დაბადების თარიღი 1817 წ.; ქვემოჭალის საეკლესიო წიგნში აღნიშნულია, რომ იგი გარდაცვალებისას 60 წლის ყოფილა; შესაბამისად, დაბადებული ჩანს 1820 წელს, (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 902, სააქტო 7).

51 ჩიქოვანი, 2010:19.

52 ჩიქოვანი, 2010:19; ხაინდრავა, 2017: მიხეილ გივის ძე ამილახვრის ეპიტაფია.

53 ქსნის ერისთავის, ლუარსაბის ასული ანასტასია იყო გივი ბარძიმის ძე ამილახვრის პირველი ცოლი (ჩიქოვანი, 2010: 18).

54 ჩიქოვანი, 2010:24; ხაინდრავა, 2017: ივანე თეიმურაზის ძე ამილახვრის ეპიტაფია.

55 ჩიქოვანი, 2010:9. ქვემოჭალის 1888 წლის საეკლესიო წიგნის მიხედვით, პოდპორუჩიკი იოანე გიორგის ძე ამილახვარი გარდაცვლილა 55 წლისა (დაბ. 1833 წ.), (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 910, სააქტო 7).

56 ჩიქოვანი, 2010:19.

57 იური ჩიქოვანის ნაშრომში ნატალია ამილახვრის დაბადების თარიღად დასახელებულია 26.08.1822 წ. (ჩიქოვანი, 2010:28; ხაინდრავა, 2017: ნატალია ვახტანგის ასული ამილახვარი-ალექსეევ-მესხიევის ეპიტაფია). ქვემოჭალის საეკლესიო წიგნის მიხედვით (გარდაცვლილა 76 წლის) იგი 1818 წელს უნდა დაბადებულიყო, (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 870, სააქტო 1).

58 ჩიქოვანი, 2010:28; ხაინდრავა, 2017: გიორგი ივანეს ძე ამილახვრის ეპიტაფია).

59 ქვემოჭალის 1897 წლის წიგნში აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ ამილახვარი გარდაცვლილა 21 წლის, ხოლო გარდაცვალების მიზეზად მითითებულია - „კაცის ხელისგან,“ (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 919, სააქტო 1).

60 ჩიქოვანი, 2010:8.

61 ზაქარია იოსების ძე ამილახვრის მეუღლე (ჩიქოვანი, 2010:19).

62 მარიამი იყო ზაქარია ამილახვრის და ნინო ფავლენიშვილის შვილი. იგი დაქორწინებული ყოფილა ქვემოჭალაში მცხოვრებ აზნაურ - დავით ეგაძეზე. (სეა, ფონდი 489, ანაწერი 31, საქმე № 932, სააქტო 7).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება.* ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო.“.

ბარნაველი, ს. (1951). სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ ვინაობა. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.* ტომი XII. №9.

ბერიძე, ვ. (2014). *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია.* მეორე ტომი. თბ.,

ბერძნიშვილი, მ. (1980). *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის.* წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბერძნიშვილი, მ. (1983). *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის. წიგნი* II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ზაქარაია, ჰ. (1990) *ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს.* თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

იოსელიანი, ა. (1990). *ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე).* თბილისი: „მეცნიერება”.

კარბელაშვილი, პ. (1899). თავ. ამილახვრიანთ და სხ. მიმართ (ღია წერილი). *ივერია.* №18. თბილისი.

კარბელაშვილი, პ. (1913). ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები. *ძველი საქართველო*, ტომი II.

სოხაშვილი, გ. (1973) *სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

უსისტყელი [კარბელაშვილი პოლიევქტოს]. (1875). *ამილახვარის გვარი. დროება.* №79. ტფილისი.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა (1892). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. წ.1. ტფ..

ჩიქოვანი, ი. (2010). *თავად ამილახვართა საგვარეულო.* https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8443/1/Tavad-Amilaxvarta-Sagvareulo.pdf (20.05.2025).

ცერაძე, ლ. (1990). წილკნის საეპისკოპოსოს ისტორიიდან. *ჯვარი ვაზისა.* №4. თბილისი).

ცხვილოელი, პ. [კარბელაშვილი პოლიევქტოს]. (1891)ა. მასალად ამილახვართა ისტორიისა. *ივერია.* №237. ტფილისი.

ცხვილოელი, პ. [კარბელაშვილი პოლიევქტოს]. (1891)ა. მასალად ამილახვართა ისტორიისა. *ივერია.* №238. თბილისი.

ხაინდრავა, ე. (2015 ამილახვართა ეპიტაფიები სამთავისიდან (XVIII ს.). *კავკასიოლოგიური ძიებანი.* 2015 (№7). თბილისი.

ხაინდრავა ე. (2017) ამილახვართა ეპიტაფიები სამთავისიდან (XIX ს.). სპეკალი, 2017, №11 https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/107 (20.05.2025).

(.A ფონდის აღწერილობა. (1955). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის. შეადგინა ლ. ქუთათელაძემ. ალ ბარამიძის რედაქციით. ტ. V. თბ.

Чиковани, Юр. (2024). *Род Багратион-Мухранских. Генеалогическое Исследование.* Тб., Издательство Грифони.

Хаханов, А. (1898). Ксанское ущелье. *Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества.* под ред. и с предисл. гр. Уваровой. Вып. 7: [Христианские памятники]: [исследования А. С. Хаханова, свящ. Садзагелова, Г. Церетели, В. М. Сысоева, Е. Д. Фелицина и Г. И. Куликовского] Москва: Товарищество типографии А. И. Мамонтова. Леонтьевский пер. Д. Мамонтова).

ფონდი 205. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 205, ანაწერი 1, საქმე 2125.

ფონდი 489. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 489, ანაწერი 6. საქმეები: 153, 319, 596, 712, 882, 1375; ანაწერი 31, საქმეები: 852, 855, 870, 899, 902, 910, 919, 932.

ფონდი 1461. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1461, ანაწერი 1. საქმეები: 3, 7, 14, 21, 22, 23, 48, 56, 66, 128, 144.

Julia Benidze

MATERIALS ON THE SAMTAVISI CATHEDRAL AND ITS ANTIQUITIES FROM THE PERSONAL ARCHIVE OF ARCHPRIEST POLIEVKTOS KARBELASHVILI

Abstract

One of the earliest and the most extensive materials which are kept in the personal archive of Archpriest Polievktos Karbelashvili (1855-1936) refer to the monuments of Shida (Inner) Kartli. It is not surprising that, among the research topics of learned clergyman, who was interested in Georgian antiquities from an early age and who was raised in Kvemochala at the local noble family of Amilakhvari, was also interested in the churches and monasteries which were related of the donorship activities of the above-mentioned noble house. One of them is Samtavisi Cathedral which was also the sepulchral place Amilakhvari house.

Archival materials reveal that Polievktos Karbelashvili visited and described Samtavisi Cathedral several times. This is evidenced also by his articles published in the local periodicals, related to the family of Amilakhvari. In addition, study of the field-records of Archpriest (Central Historical Archive of the National archive of Georgia, fund N1461) reveals that it contains unpublished and unstudied materials about Samtavisi Cathedral and its antiquities. It is noteworthy, that field-records of Polievktos Karbelashvili fulfill the notes collected by other travelers, pilgrims, lovers of antiquities, and scholars who have visited Samtavisi Cathedral before him or afterwards.

Upon visiting Samtavisi Cathedral Archpriest Polievktos Karbelashvili describes the lapidary inscriptions and the antiquities kept there - manuscripts, crosses, icons and other religious objects. It is worth mentioning, that he pays special attention to the tombstones preserved in the interior of the Cathedral - he is the first one who transcribed the epitaphs from them. In this regard, the significance of the materials collected by Polievktos Karbelashvili is quite clear.Despite the frequent travels to Inner Kartli, Polievktos Karbelashvili notes dates a few times in his diaries. He published articles about the antiquities during his fieldworks, so it becomes possible to determine the period of his stay in a particular churches or monasteries.

The materials concerning the Samtavisi Cathedral and its antiquities preserved in the field-records of Archpriest Polievktos Karbelashvili are published in this paper.

Keywords: Samtavisi, Amilakhvari Dinasty, Cultural Heritage, Antiquities, Archive.